



რეგიონული ტელევიზიების მონიტორინგი
2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში

პროექტი # S-14-108

საანგარიშო პერიოდი: 26 მაისი - 1 ივნისი, 2014 წელი

მონიტორინგის მეორე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- ტელეკომპანიათა ნაწილმა, წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მონიტორინგის შედარებით ნაკლებ სუბიექტს დაუთმო დრო. პოლიტიკური ძალები მათი წინასაარჩევნო აქტივობების შესაბამისად შუქდებოდნენ;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენები, უმეტესწილად, ზედაპირულად შუქდებოდა. ჟურნალისტები მხოლოდ ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლებოდნენ და ნაკლებად სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობამ ყველაზე მეტი დრო დაუთმო: კოალიცია "ქართულ ოცნებას", საარჩევნო ბლოკ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" და მთავრობას;
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონში ხდებოდა, თუმცა მოიმატა მთავრობის კრიტიკულმა გაშუქებამ;
- ტელეკომპანიებმა საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობით თოქ-შოუები მოამზადეს, რომლებშიც მათი ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი;
- თოქ-შოუების ინტერაქტიულობის გამო, მაყურებელს დისკუსიაში ჩართვისა და გადაცემის სტუმრებისთვის კითხვის დასმის შესაძლებლობა ჰქონდა;
- სიძულვილის ენის გამოყენების იშვიათი ფაქტები ძირითადად რესპონდენტების მხრიდან დაფიქსირდა. ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა;
- რეგიონულ ტელემაუწყებელთა სადამოს ეთერში გასულ გადაცემებში "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნები არ გამოვლენილა;
- არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2014 წლის 26 მაისის - 1 ივნისის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 16 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: „25-ე არხი“ (ქ. ბათუმი), „რიონი“ (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი), „ოდიში“ (ქ. ზუგდიდი), „თანამგზავრი“ (ქ. თელავი), „მე-9 არხი“ (ქ. ახალციხე), „თრიალეთი“ (ქ. გორი), „გურია“ (ქ. ოზურგეთი), „იმერვიზია“ (ქ. ჭიათურა), „გურჯაანი“ (ქ. გურჯაანი), „მეგა ტვ“ (ქ. ხონი), „მე-9 ტალღა“ (ქ. ფოთი), „არგო“ (ქ. ზესტაფონი), „მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული), „ბორჯომი“ (ქ. ბორჯომი), „დია“ (ქ. ხაშური).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. “პრაიმ-ტაიმის”, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებსა და თოქ-შოუებზე.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (*ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია*), კოალიცია "ქართული ოცნება" (*ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს*), საარჩევნო ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (*თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები*), საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ (*დემოკრატიული მოძრაობა- ერთიანი საქართველო, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ტრადიციონალისტთა კავშირი, მემარცხენე ალიანსი*), ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“ (*ევროპელი დემოკრატები, სამართლიანი საქართველოსთვის*), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, ალიანსი“ ევროატლანტიკური არჩევანი“ (*ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქართველოს ქალთა პარტია*), ლეიბორისტული პარტია, მწვანეთა პარტია,

ქართული პარტია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ჩვენი საქართველო, ასევე არჩევნებში მონაწილე თითოეული პოლიტიკური ძალის მერობის კანდიდატები ცალკე-ცალკე, აგერეთვე საკრებულოს დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვება „მაცნე“ არხის სადამოს ეთერში ყოველდღიურად გადაიცემოდა. გამოშვებებში, ძირითადად, ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა. შედარებით ნაკლები დრო ეთმობოდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გაშუქებას.

მონიტორინგის სუბიექტებს „მაცნეს“ გამოშვებებში საათი და 3 წუთი დაეთმო. საერთო დროის 15% ადგილობრივი ხელისუფლების (გამგებლების, საკრებულოს წევრების, სოფლის რწმუნებულების) გაშუქებაზე მოდიოდა, 13% - ცენტრალური მთავრობის, ხოლო 12% - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის. მონიტორინგის სუბიექტების დიდ ნაწილს, მათ შორის ბათუმის მერობის კანდიდატებს, საინფორმაციო გამოშვებებში 3 წუთზე ნაკლები დრო დაეთმო.

მაუწყებლის ეთერში მერობის, გამგებლობის, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო აქტივობები მიუკერძოებლად შუქდებოდა და მათთვის დათმობილი მცირე დრო, სავარაუდოდ, პოლიტიკური სუბიექტების აქტივობების ნაკლებობით იყო გამოწვეული.

მონიტორინგის სუბიექტებს დროის საშუალოდ 40% პირდაპირი საუბრისთვის ეთმობოდათ. ძირითადი ოპონენტი პოლიტიკური ძალები: კოალიცია „ქართული ოცნება“ და ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, თანაბარი დროით იყვნენ წარმოდგენილნი, თუმცა კოალიციის შემთხვევაში გაშუქების ნეგატიური მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო (27%).

28 მაისის გამოშვებაში დაფიქსირდა სიმულვილის ენის გამოყენების შემთხვევა. ეთერში გავიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ძველი ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი ირაკლი თავართქილაძის ინტერვიუ, რომელშიც მან პრემიერ-მინისტრა „ჰაკიმ-ფაშა“ უწოდა. ჟურნალისტების მხრიდან არ დაფიქსირებულა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები. მოვლენები დაბალანსებულად შუქდებოდა. არ შეინიშნებოდა პოზიტიური ან ნეგატიური მიდგომა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ.




"რიონი" (ქ. ქუთაისი) - ერთკვირიან საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ საინფორმაციო გამოშვება „დღის ამბები“ ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. კვირას კი ეთერი ტელეჟურნალ „7 დღეს“ ეთმობოდა, რომელიც ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს მიჰყავდა.

„დღის ამბების“ ჟურნალისტები სიახლეებს, უმეტესწილად, მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც მონიტორინგის სუბიექტების შესახებ მომზადებული სიუჟეტები საკმაოდ პოზიტიურად იყო აწყობილი. მაგალითად, 28 მაისს გასული სიუჟეტი, რომელიც ქუთაისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატ გიორგი ხაზარაძის, ბერი თევდორეს ქუჩის მოსახლეობასთან შეხვედრას შეეხებოდა. სიუჟეტში ჟურნალისტი ციტირებდა მოქალაქეების ნათქვამს. შედეგად, მან კანდიდატის მიმართ არაერთი კომპლიმენტი წარმოთქვა. სიუჟეტში გიორგი ხაზარაძის სინქრონის ჩვენების დროს, რამდენიმე წამით ეთერში მხოლოდ მისი ხმა ისმოდა, ეკრანზე კი კანდიდატის საარჩევნო ნომერი, 42 ჩანდა.

„რიონის“ ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად გადმოსცემდნენ, თუმცა კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდნენ. სიუჟეტები მზადდებოდა ადგილობრივი სიახლეების, პოლიტიკური პარტიების, მერობისა, გამგებლობისა თუ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების აქტივობების შესახებ. ასევე შუქდებოდა მთლიანად ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები.

ტელეკომპანია „რიონმა“ საარჩევნო სუბიექტებს ჯამში 2 საათი დაუთმო. ამ დროის 25%, კოალიცია „ქართულ ოცნება“ გაშუქდა, 13% - მთავრობა, 12% - მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები. საერთო დროის 9-9% წილად ხვდათ კოალიცია „ქართული ოცნების“ და „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ ქუთაისის მერობის კანდიდატებს, შოთა მურდულიას და თეიმურაზ შაშიაშვილს. „რიონის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის შედარებით მეტი დრო ეთმობოდათ. ირიბი გაშუქების მაჩვენებელი საშუალოდ 30-35% შეადგენდა. არხი მონიტორინგის სუბიექტებს, ძირითადად, ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში აშუქებდა.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა ხმით/ მუსიკით მანიპულირების შემთხვევები; არ გამოვლენილა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.




ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი) - საანგარიშო კვირაში მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ ძირითად აქცენტს პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიების გაშუქებაზე აკეთებდა. ჯამში მათ 2 საათი და 38 წუთი დაეთმო. გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით კოალიცია „ქართული ოცნება“ გამოირჩეოდა. რუსთავის მერობის კანდიდატებიდან თანაბარი დრო (21-21 წთ.) დაეთმოთ კოალიციის

კანდიდატ დავით ჯიქიას და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ მამუკა ჩიქოვანს. თუმცა, მთლიანობაში, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს 13%-ით მეტი დრო დაეთმოთ, ვიდრე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. მმართველი პარტია 46%-ით პოზიტიურად იყო წარმოჩენილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ კი 30%-იანი ნეგატიური ტონი დაფიქსირდა.

ახალი ამბების გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის მნიშვნელოვანი დრო (საშუალოდ 60%) ეთმობოდათ. ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პირდაპირი საუბრის დროს, ძირითადად, მთავრობის ნეგატიური შეფასებებისთვის იყენებდნენ, ამიტომაც მთავრობის მიმართ 41%-იანი ნეგატიური გაშუქების ტონი დაფიქსირდა.

ზოგჯერ, ერთ საინფორმაციო გამოშვებაში სხვადასხვა ქუჩის მოსახლეობასთან რომელიმე პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრები ცალკ-ცალკე სიუჟეტებად გადიოდა. მაგალითად, 28 მაისის გამოშვებაში კოალიცია „ქართული ოცნების“ რუსთავის მერობის კანდიდატის, დავით ჯიქიას აქტივობების შესახებ სამი სიუჟეტი მომზადდა. მსგავსი ტენდენცია სხვა პოლიტიკური სუბიექტების შემთხვევაშიც გვხვდებოდა.

მიუხედავად რეგიონში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის აქტიური გაშუქებისა, ეთერში გასული სიუჟეტები არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საარჩევნო პროგრამების შესახებ სიღრმისეულ ინფორმაციას არ შეიცავდა. აქცენტი, ძირითადად, კანდიდატების საარჩევნო დაპირებებზე კეთდებოდა, ამიტომაც გაშუქების ტონის დიაგრამაზე პოზიტიური და ნეიტრალური გაშუქება სჭარბობს.




"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „ოდიშის“ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, რეგიონის ახალი ამბები შუქდებოდა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენები კი „ინფოლენტში“ მოკლე ტექსტის სახით იყო წარმოდგენილი. „ინფოლენტში“ პოლიტიკოსების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ტექსტის სახით აჩვენებენ. ხშირად ციტატასთან ერთად ეკრანზე ავტორის ფოტოც ჩანს. „ინფოლენტები“ სადამოსეთერში რამდენჯერმე გადის, თუმცა მათში ახალი ამბების შესახებ მოკლე, მშრალი ინფორმაციაა გადმოცემული.

საანგარიშო კვირაში არხმა მონიტორინგის სუბიექტებს 41 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტი დროით ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (25%), ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (15%) და მთავრობის (13%) აქტივობები იყო გაშუქებული. ახალი ამბები, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში გადმოიცემოდა. თუმცა „ქართული ოცნების“ და მთავრობის აქტივობებისთვის დათმობილი 5-5 წუთიდან საშუალოდ 20% უარყოფით ტონზე მოდიოდა.

საანგარიშო კვირის განმავლობაში არხზე არ დაფიქსირებულა მოვლენების მიკერძოებულად და ტენდენციურად გაშუქების შემთხვევები. თუმცა, საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკურ სუბიექტებს დრო არათანაბრად დაეთმოთ რაც, სავარაუდოდ, მათი აქტივობების სიხშირით იყო გამოწვეული. მაგალითად, სამ წუთზე მეტი დროით მხოლოდ

ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ ზუგდიდის მერობის კანდიდატი რუსუდან პაჭკორია გაშუქდა.

აღსანიშნავია, რომ 28 მაისის გამოშვებაში, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ მზადყოფნა გამოთქვა დებატებისათვის დამატებითი საეთერო დრო დაუთმოს პოლიტიკურ სუბიექტებს.




"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - ტელეკომპანია „მე-9 არხის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ექო“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით გადიოდა. კვირას კი, „კვირის ექოში“, რომელსაც წამყვანი არ ჰყავს, მაყურებელს საშუალება ჰქონდა კვირის მანძილზე მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები განმეორებით ენახა.

ტელეკომპანია „მე-9 არხი“ აქტიურად აშუქებდა ადგილობრივ ამბებს: არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და სუბიექტების აქტივობებს, სპორტულ, კულტურულ და სხვა სახის ღონისძიებებს, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს. ხოლო რუბრიკაში „საქართველოს ამბები“ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები იყო გაშუქებული. საინფორმაციო გამოშვების გუნდს სწორად ჰქონდა შერჩეული თემები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს შეეხებოდა. აქცენტი მნიშვნელოვან საკითხებზე კეთდებოდა.

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში ერთი საათი და 13 წუთი დაუთმო. ამ დროის 20% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, ხოლო 12% - კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალციხის მერობის კანდიდატ გიორგი კოპაძეზე. მთლიანი დროის 8-8% დაეთმოთ ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და მერობის მათ

კანდიდატ გელა დემეტრაძეს. ეს უკანასკნელი, უმეტესწილად, პირდაპირი საუბრით გაშუქდა დადებით და ნეიტრალურ ტონებში, თუმცა მისი პოლიტიკური გაერთიანებისთვის დათმობილი დროის 80% ირიბ საუბარზე მოდიოდა. კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მერობის მათი კანდიდატის გაშუქებისას პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

ჟურნალისტები საინტერესო სიუჟეტებს ამზადებდნენ. ხშირად ეთერში 3-5 წუთიანი სიუჟეტები გადიოდა, ჟურნალისტებს თემები ამომწურავად ჰქონდათ მომზადებული და წარმოდგენილი ჰყავდათ ყველა მხარე. ისინი ახალ ამბებს ოპერატიულად გადმოსცემდნენ და საკუთარ შეხედულებებს არ აფიქსირებდნენ. საინფორმაციო გამოშვებებში „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ გამოყენების და ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა.



"თანამგზავრი" (ქ. თელავი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ორმაზათი-პარასკევის ჩათვლით გავიდა. დაახლოებით 30 წუთიან საინფორმაციო გამოშვებას სადამოს ეთერში ორჯერ ეთმობა დრო. გამოშვებებში რეგიონში მომხდარ ახალ ამბებთან ერთად ქვეყნში განვითარებული მთავარი მოვლენები და უცხოეთის სიახლეებიც შუქდებოდა. ადგილობრივ და ქვეყნის მთავარ თემებს დრო თითქმის თანაბრად ეთმობოდა.


არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში ერთი საათი და 40 წუთი დაეთმო. ამ დროის 32% პრემიერ-მინისტრს დაეთმო, რომლის 62% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. ეს მაჩვენებელი 26 მაისის საინფორმაციო გამოშვებაში პრემიერის კახეთში ვიზიტის, აგრეთვე დამოუკიდებლობის დღის მილოცვის გაშუქებამ განაპირობა. ირაკლი ღარიბაშვილს დროის 93% ნეიტრალურ ტონში დაეთმო.

21 წუთიანი გაშუქება ჰქონდა მთავრობას, რაც, ძირითადად, მთავრობის წევრების ვრცელი კომენტარების შედეგია: ქვეყნის მთავარი ამბების გაშუქებისას რესპონდენტების სინქრონები შედარებით გრძელია, ვიდრე ადგილობრივი ამბების დროს. შესაბამისად, მთავრობა 67% პირდაპირ იყო გაშუქებული. დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზეა ადგილობრივი ხელისუფლება, რომელსაც საერთო დროის 17%, ძირითადად, ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონებში დაეთმო. ადგილობრივი ხელისუფლების ნეგატიურად გაშუქება არსებულ პრობლემებზე მომზადებულმა სიუჟეტებმა გამოიწვია, რომლებშიც მოსახლეობა მათ უმოქმედობაზე საუბრობდა. საინფორმაციო გამოშვებებში რაიონში არსებულ სხვადასხვა სოციალურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებზე (გაუმართავი გზები და სანიაღვრე არხები, სასმელი წყლის პრობლემები და ა.შ) რამდენიმე სიღრმისული სიუჟეტი მომზადდა.

საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დრო ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ქალაქ თელავის მერობის კანდიდატ გიორგი მოსიაშვილს.

საინფორმაციო გამოშვებები, საერთო ჯამში, დაბალანსებული და მიუკერძოებელი იყო. ჟურნალისტები მოვლენების გაშუქებისას სუბიექტურ დამოკიდებულებას არ ავლენდნენ.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა ხმით/ მუსიკით მანიპულირების შემთხვევები; არ გამოვლენილა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.




"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვებებში „ახალი ამბები თრიალეთზე“, აქტიურად შუქდებოდა რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. გადაცემები ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. შაბათს ეთერი დაეთმო შემაჯამებელ გამოშვებას „კვირის ამბები“, რომელშიც ჟურნალისტები ცდილობდნენ მაყურებლისთვის მნიშვნელოვანი საკითხები სიღრმისეულად გაეცნოთ.

კვირის მანძილზე გასულ საინფორმაციო გამოშვებებში ჟურნალისტები ქალაქ გორის მერობის, გამგებლობისა და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებს ოპერატიულად და მიუკერძოებლად აშუქებდნენ. სიუჟეტებში ბალანსი, ძირითადად, დაცული იყო. დიაგრამაზე წარმოდგენილი ტონთა სიჭრელე კი მიმდინარე მოვლენების ირგვლივ არსებული განსხვავებული მოსაზრებებისა და ოპონენტთა კომენტარების გაშუქებით არის გამოწვეული.

საანგარიშო კვირაში მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 5 წუთი დაეთმოთ. გაშუქების ყველაზე მაღალი დროით ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გამოირჩეოდა (24%), მნიშვნელოვანი დრო დაეთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (16%) და ადგილობრივ ხელისუფლებას (13%). პოლიტიკურ სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის საერთო დროის, დაახლოებით, მეოთხედი ეთმობოდათ.

კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი ნეგატიური გაშუქება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, ირმა ნადირაშვილის მიერ ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით ახალი ბაზრის ტერიტორიის 49-წლიანი საიჯარო ხელშეკრულებით კერძო პირზე გადაცემის საკითხთან დაკავშირებით

წარმოდგენილმა ბრალდებებმა გამოიწვია. 31 მაისს, საინფორმაციო გამოშვების დასკვნით ნაწილში, სტუდიაში მიწვეულ სტუმრებს შორის ამ საკითხის ირგვლივ მწვავე დისკუსია გაიმართა. გადაცემის სტუმრები კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იყვნენ. წამყვანები სიტუაციის მართვას სრულად ვერ ახერხებდნენ. სტუმრების მხრიდან არაერთი ურთერთბრალდება გაჟღერდა, თუმცა წამყვანები მათ არგუმენტირებული საუბრისკენ არ მოუწოდებდნენ.



"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ფაქტი“ ეთერში ორშაბათი-პარასკევს ჩათვლით გავიდა. დაახლოებით 10 - 15 წუთიან გამოშვებებს პრაიმ-თაიმში დრო ორჯერ ეთმობოდა. სიუჟეტები მხოლოდ ადგილობრივ ახალ ამბებზე მომზადდა. „გურია“ აქტიურად აშუქებდა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო შეხვედრებს. 28 მაისიდან საინფორმაციო გამოშვებას დაემატა რუბრიკა „ვის ვირჩევთ“, რომელიც გამგებლობის სხვადასხვა კანდიდატებს აცნობს მაყურებელს.


„გურიაში“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 53 წუთი დაუთმო. მათთვის დათმობილი დროის 28% კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა, 21% - კოალიციის ოზურგეთის მერობის კანდიდატი ბეგლარ სიორიძე. მისი პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო. საერთო დროის 11% ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებას დაეთმო. 8-8% - ადგილობრივ ხელისუფლებას და ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციას“.

„ფაქტის“ სიუჟეტები, ძირითადად, ზედაპირული და ინფორმაციული ხასიათის იყო; რაიმე საკითხზე, პრობლემაზე სიღრმისეული სიუჟეტი არ მომზადებულა. ზოგჯერ სიუჟეტებში პოლიტიკური სუბიექტის მიმართ ჟურნალისტების შეფასება და დამოკიდებულება ჩანდა. მაგალითად, როგორც ეს მოხდა 28 მაისის გამოშვებაში ჟურნალისტის მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრის გაშუქების დროს.

მონიტორინგის პერიოდში გვექონდა დაუბალანსებლობის შემთხვევაც. კერძოდ, 29 მაისს გასული, თითქმის 10 წუთიანი სიუჟეტი, რომელიც ჩოხატაურის ქუჩის მაცხოვრებლების პრობლემებზე მომზადდა, მხოლოდ მოსახლეობის კომენტარებზე იყო აგებული და არ იყო წარმოდგენილი ადგილობრივი ხელისუფლების პოზიცია.

27 მაისის გამოშვების ერთ-ერთ სიუჟეტში იყო ტექნიკური ხარვეზი: მერობისა და გამგებლობის კანდიდატების სიის უკეთ წარმოსაჩენად მომზადებულ გრაფიკში ერთი და იგივე ადამიანები მოხსენებულნი იყვნენ როგორც გამგებლობის, ისე მერობის კანდიდატებად.

საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენა, ხმით ან მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.




"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში „იმერვიზიის“ საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით წამყვანის გარეშე გადიოდა.

ტელეკომპანიამ საანგარიშო კვირაში მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 20 წუთი დაუთმო. კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივობები არხმა ჯამში 25 წუთის განმავლობაში გააშუქა, მთავრობა - 18 წუთი, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 10 წუთი.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო. პოლიტიკური თუ სხვა თემების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში, ჟურნალისტების მიერ ფაქტების მიკერძოებულად გადმოცემის შემთხვევები არ გამოვლენილა. ისინი ცდილობდნენ მოვლენები ოპერატიულად გაეშუქებინათ და საკუთარი მოსაზრებები არ დაეფიქსირებინათ.

საინფორმაციო გამოშვებები თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. პოლიტიკურ ამბებთან ერთად სპორტული, კულტურული თუ სხვა ღონისძიებები, ასევე ქვეყნში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესებიც შუქდებოდა.




"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ ტელეკომპანია გურჯაანის ეთერში 22:00 საათზე ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. ხოლო კვირის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე შემაჯამებელი გადაცემა „მთელ კვირა“ მომზადდა, რომელიც ეთერში წამყვანის გარეშე გავიდა.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურჯაანი“ მონიტორინგის სუბიექტებს 46 წუთი დაუთმო. ყველაზე დიდი დროით გაშუქდნენ: კოალიცია „ქართული ოცნება“, მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება. მათ მთლიანი დროის 21, 19 და 17 % დაეთმო.

არხი მონიტორინგის სუბიექტებს საშუალებას აძლევდა ეთერში პირადად ესაუბრათ, თუმცა მათ შესახებ დადებით, ნეიტრალურ თუ უარყოფით კონტექსტში სხვებიც საუბრობდნენ. სუბიექტებზე პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბრად გადანაწილდა.

საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები ადგილობრივ ამბებს დროულად და ობიექტურად აშუქებდნენ. ეთერში გვხვდებოდა სიუჟეტები პოლიტიკური პარტიების, არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი სუბიექტების თუ ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობების შესახებ. შუქდებოდა ადგილობრივი სპორტული და კულტურული ღონისძიებები. რუბრიკაში, „რეგიონსგარეთ მოვლენები“, მთლიანად ქვეყნის ამბები გადაიცემოდა. მაყურებელს საშუალება ჰქონდა მსოფლიოში მიმდინარე სიახლეებსაც გასცნობოდა.

ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ. არ გამოვლენილა სიძულვილის ენის ან ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევები.



"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე მოვლენები შუქდებოდა. ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვება „მთავარი დღეს“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. შაბათს ეთერი საინფორმაციო გამოშვებას „მთავარი კვირას“ ეთმობოდა, კვირას კი - „კვირის ფაქტებს“. მათში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 9 წუთი დაეთმო. გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერ-მინისტრს (20%), ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (16%) და მთავრობას (13%) ჰქონდათ.


პრემიერ-მინისტრის გაშუქების მაღალი მაჩვენებელი, ძირითადად, 26 მაისის, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მისალოცი მიმართვის ხანგრძლივობამ განაპირობა. მთავრობის ხელმძღვანელის ვიდეომიმართვის ჩანაწერი მისი პრეს-სამსახურის მიერ იყო წარმოდგენილი.

ტელეკომპანიის ეთერით მთავრობის მიმართ გამოთქმული კრიტიკული კომენტარებიც შუქდებოდა, მისთვის დათმობილი დროის 46% ნეგატიურ ტონზე მოდიოდა. თუმცა, ჟურნალისტების მხრიდან მოვლენების მიკერძოებულად და ტენდენციურად გაშუქების შემთხვევები არ გამოვლენილა.

„მეგა ტვ“ პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო აქტივობებსაც აშუქებდა, თუმცა პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო პროგრამების შესახებ მაყურებელს სიღრმისეული ინფორმაცია არ მიეწოდებოდა, არ ისმებოდა კრიტიკული შეკითხვები. აქცენტი ძირითადად, კანდიდატების საარჩევნო დაპირებებზე კეთდებოდა, შესაბამისად, დიაგრამაზე პოზიტიური და ნეიტრალური გაშუქება სჭარბობს. გამოშვებებში დრო სოციალური თემატიკის გაშუქებასაც ეთმობოდა.

ყოველდღურ საინფორმაციო გამოშვებებთან შედარებით, შაბათ-კვირის გამოშვება მაყურებელს უფრო სიღრმისეულ და ამომწურავ ინფორმაციას სთავაზობდა. 31 მაისის გამოშვებაში გავიდა პროექტ „ფაქტ-მეტრის“ სიუჟეტები, რომელიც პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარმოთქმული ტექსტის სიზუსტეს ამოწმებდა. მათში წარმოდგენილი იყო დოკუმენტირებული არგუმენტები და ექსპერტის კომენტარები, რაც ამყარებდა დასკვნით ნაწილში პოლიტიკოსთა მიერ გაკეთებული განცხადებების ფაქტობრივ სიზუსტეს თუ უზუსტობას. გამოშვებაში ერთმანეთის მიყოლებით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებების სიზუსტე შეამოწმეს. მათში არ შეინიშნებოდა სუბიექტების უარყოფითად ან მიკერძოებულად ჩვენების მცდელობა.

საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენა, ხმით ან მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.




"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 ტალღამ“ საინფორმაციო გამოშვება „კურსორში“ მონიტორინგის სუბიექტებს ერთი საათი და 13 წუთი დაუთმო. „კურსორი“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა და მის მაყურებელს საშუალება ჰქონდა ადგილობრივ სიახლეებს დეტალურად გასცნობოდა, ასევე ინფორმაცია მიეღო ქვეყნის მთავარი მოვლენების შესახებ.

მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 23% საკრებულოს არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატებს დაეთმო, 18% - კოალიცია „ქართულ ოცნებას“, 11% მათ მერობის კანდიდატ ირაკლი კაკულიას. თითქმის ამდენივე დრო დაეთმო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატ უშანგი გეგენავას.

საინფორმაციო გამოშვებები თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. შუქდებოდა როგორც პოლიტიკური თემები, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობები, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები.

მონიტორინგის სუბიექტებს დროის საშუალოდ 60% პირდაპირი საუბრისთვის დაეთმო.

სიუჟეტებში ბალანსი დაცული იყო. მონიტორინგის სუბიექტები დიდწილად დადებით და ნეიტრალურ კონტექსტში გაშუქდნენ. ჟურნალისტები ახალ ამბებს მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ.



„არგო“ (ქ. ზესტაფონი) - საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 14 წუთი დაეთმო. „სპექტრის“ სიუჟეტები, ძირითადად, სხვადასხვა არასაარჩევნო თემებზე მომზადდა: რელიგიური დღესასწაულები, ენტეროვირუსული დაავადების ზრდა, ნორჩი მუსიკოსები, სპორტული შეჯიბრებები და ა.შ.

მხოლოდ 28 მაისის გამოშვებაში გაშუქდა კვალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრა მოსახლეობასთან. მისთვის დათმობილი 8 წუთიდან 89% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა, ხოლო გაშუქების ტონი დადებითი (59%) და ნეიტრალური იყო (41%). 2 წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო „საქართველოს გზას“ და „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“.

„მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული) - საანგარიშო პერიოდში „მარნეული ტვ“-ის ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ორშაბათი-შაბათის ჩათვლით გავიდა. გამოშვებები საღამოს ეთერში მეორდებოდა. სიუჟეტები ადგილობრივ ამბებს შეეხებოდა.


საინფორმაციო გამოშვებებში არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 40 წუთი დაუთმო. ამ დროიდან ყველაზე მეტი, 12-12 წუთი კვალიცია „ქართულ ოცნებას“ და ადგილობრივ ხელისუფლებას, უმეტესწილად, პირდაპირი საუბრისთვის (შესაბამისად 72% და 78%), დაეთმო. გაშუქების 4 წუთი ჰქონდა ბლოკ „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“, რომლის 67% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

მონიტორინგის სხვა სუბიექტებისთვის დათმობილი დრო 3 წუთზე ნაკლები იყო.

„მარნეული ტვ“ ახალი ამბების გაშუქებისას პირდაპირ საუბარს უფრო მეტ დროს უთმობდა ვიდრე ირიბს, ხოლო ტონი დიდწილად ნეიტრალური იყო. ნეგატიური ტონი საერთოდ არ გამოვლენილა.

საინფორმაციო გამოშვებებში არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საარჩევნო პროგრამებზე სიუჟეტები არ მომზადებულა. მხოლოდ მათი წინასაარჩევნო შეხვედრები შუქდებოდა, ასევე მომზადდა მასალა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატებზე.


ტელეკომპანია ახალ ამბებს ზედაპირულად და ინფორმაციულ დონეზე აშუქებდა. ჟურნალისტები მოვლენებს მშრალად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ.



„ბორჯომი“ (ქ, ბორჯომი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „ბორჯომის“ ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დღის ქრონიკა“ ოთხჯერ გავიდა. დაახლოებით ათწუთიან გადაცემებში მხოლოდ ადგილობრივი ახალი ამბები იყო გაშუქებული.

საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 16 წუთი დაეთმო. მათგან ყველაზე მეტი დროით, თითქმის 9 წუთით ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა. ეს დრო თანაბრად იყო განაწილებული პირდაპირ და ირიბ საუბრებზე. არხმა დაახლოებით 4 წუთი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაუთმო. მონიტორინგის დანარჩენი სუბიექტებისთვის დათმობილი დრო წუთზე ნაკლები იყო.

სიუჟეტები, ძირითადად, ინფორმაციული ხასიათის იყო: საარჩევნო პლაკატების აკრძალულ ადგილებში გაკვრა, ამომრჩეველთა ერთიან სიებში ცვლილებების შეტანის ვადის გასვლა.



„დიას“ (ქ. ხაშური) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „დიას“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება ეთერში წამყვანის გარეშე ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით გადიოდა. შაბათს კი მაყურებელს საშუალება ჰქონდა „კვირის ამბებში“ კვირის მანძილზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები განმეორებით ენახა. არხი მაყურებელს რეგიონში და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აცნობდა.


ტელეკომპანია „დიას“ საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები პოლიტიკური სუბიექტების აქტივობების შესახებ სიუჟეტებს აქტიურად ამზადებდნენ, თუმცა საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სინქრონებს ტიტრები არ ჰქონდა და, შესაბამისად, ძნელი დასადგენი იყო, თუ რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი საუბრობდა ეთერში. სწორედ ამ მიზეზით, რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტისთვის დათმობილი დროის დათვლა ვერ მოხერხდა.

არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 36 წუთი დაუთმო. ყველაზე ხანგრძლივად ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივობები გაშუქდა. კოალიცია „ქართული ოცნების“ გორის მერობის კანდიდატ ზურაბ ჯირკველიშვილის შესახებ კი არხზე დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში საუბრობდნენ. ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტების მიმართ პირდაპირი/ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბრად გამოვლინდა.

სუბიექტებზე, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. თუმცა ნეგატიური გაშუქების მაღალი მაჩვენებელიც დაფიქსირდა ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

წარმომადგენლის, ირმა ნადირაშვილის მიერ მმართველი გუნდის მისამართით წარმოდგენილმა ბრალდებებმა გამოიწვია.

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები დაბალანსებული იყო, თუმცა მოვლენები მშრალად შუქდებოდა. ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად და სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ.



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივკომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნია ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - ტელეკომპანიის სადამოს ეთერში ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით **თოქ-შოუ „დილოგი“** გადიოდა, რომელსაც ჟურნალისტი ჯაბა ანანიძე უძღვებოდა. საანგარიშო კვირის განმავლობაში ოთხი გადაცემა გავიდა. მათში მიწვეულები იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ძალების: კოალიცია „ქართული ოცნების“, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ სხვადასხვა მუნიციპალიტეტების (ხელვაჩაური, ხულო, ქობულეთი, შუახევი) გამგებლობის კანდიდატები.

წამყვანი კანდიდატებს მათი საარჩევნო პროგრამების, პრიორიტეტების და სამომავლო გეგმების შესახებ აზრის ბოლომდე, შეუზღუდავად გამოთქმის საშუალებას აძლევდა. ჟურნალისტი ცდილობდა ბოლომდე ჩასძიებოდა სტუმარს, რათა დამატებითი კითხვებით მაყურებელს უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიეღო.

თითქმის ყველა გადაცემის მეორე ნაწილში, პარტიების წარმომადგენლებს შორის მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა. წამყვანი აქტიურ ოპონირებას უწევდა სტუმრებს. აღსანიშნავია, 26 მაისის გადაცემა, სადაც სტუმრებსა და წამყვანს შორის მწვავე დისკუსია გაიმართა. გადაცემის სტუმრები „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია და ალიანსის პროპორციული სიის პირველი ნომერი, დავით თევდორაძე იყვნენ. ჟურნალისტი პარტიის ფორმირების, სამომავლო გეგმების შესახებ კრიტიკულ კითხვებს სვამდა, რამაც სტუმრების გაღიზიანება გამოიწვია. კითხვების დასმის დროს ჟურნალისტი მომთხოვნი იყო. გადაცემის მსვლელობისას ერთ-ერთმა მაყურებელმა, სატელეფონო ზარის მეშვეობით, წამყვანი აგრესიულობასა და არაინფორმირებულობაში დაადანაშაულა. გადაცემები მაყურებლების მხრიდან მაღალი ინტერაქტიულობით გამოირჩეოდა.

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში 26 და 29 მაისს გავიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური **თოქ-შოუ „თემა“**, რომელიც ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს მიჰყავდა.

ჟურნალისტს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, კოალიცია „ქართული ოცნების“, ბლოკ „თვითმმართველობა ხალხს“ ტყიბულის, სამტრედიის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები. გადაცემების თემა კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები იყო.

წამყვანი აქტიურად იყო ჩართული თოქ-შოუების მიმდინარეობაში. ინტერესდებოდა კანდიდატების საარჩევნო პროგრამებით, მათი პრიორიტეტებით, როგორ აპირებენ

წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას. წამყვანი ცდილობდა სტუმრებს გადაცემაში წამოჭრილ თემებთან დაკავშირებით დეტალურად ესაუბრათ. თუ გადაცემის სტუმარი ოპონენტს აკრიტიკებდა, რომელიც სტუდიაში არ იმყოფებოდა, ჟურნალისტი ცდილობდა რესპონდენტისთვის ოპონირება თავად გაეწია. იგი არ იყენებდა სიმულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს.

მაყურებელს საშუალება ჰქონდა, გადაცემის სტუმრებისთვის სატელეფონო ზარების მეშვეობით კითხვები დაესვათ.

27 მაისს ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ „ობიექტური აზრი“** გავიდა. გადაცემა დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა და მას ჟურნალისტი ელზა ჩუბინიძე უძღვებოდა. გადაცემა ორი ბლოკისგან შედგებოდა. პირველი ბლოკის სტუმრები მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები იყვნენ, მეორე ბლოკი კი არასამთავრობო სექტორს დაეთმო. ჟურნალისტი ინტერესდებოდა კანდიდატების საარჩევნო პროგრამებით. წამყვანი აქტუალურ კითხვებს სვამდა და ცდილობდა მათგან ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიეღო. იგი მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა, ცდილობდა სტუმრებისთვის დრო თანაბრად გადაენაწილებინა და თემიდან არ გადაეხვიათ.

ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი) - საანგარიშო კვირაში მონიტორინგის ქვეშ **თოქ-შოუ „თქვენი დროს“** სამი გადაცემა მოექცა. სამივე გადაცემას სხვადასხვა წამყვანი ჰყავდა. გამოშვებების მთავარი თემა თვითმმართველობის მოახლოებული არჩევნები იყო. წამყვანები პოლიტიკურ სუბიექტებს საარჩევნო პროგრამებისა და პრიორიტეტების შესახებ ამომწურავი საუბრის საშუალებას აძლევდნენ. მაყურებლებს შესაძლებლობა ჰქონდა სტუმრებისგან მათი პოლიტიკური ძალების დაგეგმილ აქტივობებსა და სამომავლო გეგმებზე დეტალური ინფორმაცია მიეღოთ.

27 მაისის გადაცემას ჟურნალისტი ტატო გოგოლაძე უძღვებოდა. მასში სტუმრად ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ რუსთავის მერობის კანდიდატი, ალექსანდრე ბერიძე იყო მიწვეული. გადაცემა ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. წამყვანი საინტერესო კითხვებს სვამდა და ცდილობდა კანდიდატისგან ამომწურავი პასუხი მიეღო მისი წარსულის, სამომავლო გეგმებისა და პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. ჟურნალისტი სტუმარს არგუმენტირებული საუბრისკენ მოუწოდებდა და საშუალებას არ აძლევდა დაუზუსტებელი, გადაუმოწმებელი ფაქტები მოეყვანა.

მაყურებელს საშუალება ჰქონდა პირდაპირი ეთერში, სატელეფონო ზარის მეშვეობით სტუმრისთვის კითხვები დაესვა. წამყვანი ტელემაყურებლებს კონკრეტული კითხვების დასმისკენ მოუწოდებდა. გადაცემა საკმაოდ ინფორმაციული იყო.

28 მაისის გამოშვებას ჟურნალისტი ნინო კაპანაძე უძღვებოდა. გადაცემაში მონაწილეობას იღებდნენ რუსთავის მერობის კანდიდატები: ალექსანდრე ბერიძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), კობა ძლიერაშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“), ალექსანდრე კობაძე („საქართველოს გზა“) და ელგუჯა ქოჩიაშვილი („უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“).

გადაცემა განსხვავებული და დებატების წინასწარ განსაზღვრული ფორმატით მიმდინარეობდა: დასაწყისში კანდიდატებს 3-3 წუთი დაეთმოთ პროგრამულ პრიორიტეტებზე სასაუბროდ. სტუმართა გამოსვლის თანმიმდევრობა კენჭისყრის შედეგად იყო დადგენილი. წამყვანის შეკითხვები, ძირითადად, მერობის კანდიდატთა სამოქმედო გეგმებს, საარჩევნო გარემოსა და მოსახლეობის პრობლემების გადაჭრის გზებს შეეხებოდა. ჟურნალისტი სტუმრებთან პოლემიკაში ნაკლებად შედიოდა და ძირითადად მოდერატორის ფუნქციას ითავსებდა.

30 მაისის გამოშვებას ჟურნალისტი ხათუნა მამარდაშვილი უძღვებოდა. გადაცემაში მიწვეული იყო „უფლის სახელით-უფალია ჩვენი სიმართლე“ რუსთავის მერობის კანდიდატი ელგუჯა ქოჩიაშვილი. წამყვანი სტუმარს შესაძლებლობას აძლევდა საარჩევნო პროგრამაზე ამომწურავად ესაუბრა; ეკითხებოდა სამომავლო გეგმების განხორციელების გზებზე.

გადაცემებში წამყვანების მხრიდან სიძულვილის ენის და არაკორექტული ლექსიკის გამოყენების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირაში არხზე თოქ-შოუ არ გასულა.

"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში „მე-9 არხის“ ეთერში გავიდა თოქ-შოუ „დიალოგი“, რომელიც ჟურნალისტი რუსუდან გვარამაძეს მიჰყავდა.

29 მაისს ეთერი ორსაათიან გადაცემას დაეთმო, რომელიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი. „დიალოგის“ პირველი ნაწილის თემა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობა იყო. როგორ აფასებენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები წელიწადნახევრის განმავლობაში საკრებულოს მუშაობას და რატომ შეიცვალა პოლიტიკური სიმპათიები

საკრებულოს თავმჯდომარემ - ამ თემაზე სასაუბროდ სტუდიაში მიწვეული იყვნენ: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად „საქართველოს გზის“ კანდიდატია, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, კოალიცია „ქართული ოცნებიდან“, „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციიდან“.

„დიალოგის“ მეორე ნაწილი **თოქ-შოუ „არჩევნები 2014“-ს** დაეთმო, რომლის სტუმრებიც იყვნენ ახალციხის მერობის კანდიდატები: გიორგი კოპაძე (კოალიცია „ქართული ოცნება“), გოჩა ათოშვილი („საქართველოს გზა“), ნატალი სისვაძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), ზაზა ნათენაძე (ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“) და გელა დემეტრაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).

„არჩევნები 2014-ის“ თემა მერობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები იყო.

ჟურნალისტი აქტიურად იყო ჩართული გადაცემის მიმდინარეობის პროცესში. წამყვანი აქტუალურ და კრიტიკულ კითხვებს სვამდა, ინტერესდებოდა დეტალებით, რითაც მაყურებელს საშუალებას აძლევდა კონკრეტულ საკითხებზე კონკრეტული პასუხები მიეღოთ. წამყვანი სტუმრებს თემიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევდა. ჟურნალისტი ინტერესდებოდა ახალციხის მერობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამებით, თუ როგორ აპირებენ პროგრამაში გაწერილი საკითხების შესრულებას. ჟურნალისტის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები ან არაეთიკური გამონათქვამების გამოყენება არ გამოვლენილა.

"თანამგზავრი" (ქ. თელავი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში **თოქ-შოუ „დიალოგის“** ერთი გადაცემა გავიდა. 30 მაისის გადაცემის სტუმრები იყვნენ თელავის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციიდან“ და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციიდან“. გადაცემას მთავარი სტუმრების გარდა მათი პარტიების სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც გადაცემის მსვლელობაში ერთვებოდნენ: პასუხობდნენ წამყვანის კითხვებს და თემის ირგვლივ საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებდნენ.

გადაცემის თემა კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარების მათეული გზების ჩვენება იყო.

„დიალოგის“ წამყვანმა, ნატო მეგუთნიშვილმა გადაცემის მსვლელობისას არაერთხელ აღნიშნა, რომ მიწვეული ჰყავდა კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელიც, რომელმაც გადაცემაში სტუმრობაზე, პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით, უარი

განაცხადა. მათი არყოფნის გამო კი გადაცემა დაწყებამდე ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმაც დატოვეს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ უარმა და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გადაცემის დატოვებამ, გარკვეულწილად, წამყვანზე იმოქმედა და მისი გაღიზიანებაც გამოიწვია. როგორც მან აღნიშნა, კოალიციის წევრები, მოუცლელობის მომიზეზებით, 23 მაისის გადაცემასაც არ დაესწრნენ. მისმა პირველმა კითხვამ სტუმრებისადმი, თუ რას ფიქრობენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების გადაცემებში მონაწილეობის არმიღებაზე და რატომ დატოვა ის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, სტუმრების პასუხებზეც იმოქმედა, რამაც ოპონენტების მიმართ ნეგატიური განცხადებების გაკეთება გამოიწვია.

„დიალოგი“ პირდაპირ ეთერში გადიოდა და მაყურებელს სტუმრებისთვის სატელეფონო ზარის მეშვეობით კითხვის დასმა შეეძლო. საათნახევრიანი გადაცემა პოლიტიკური დებატების ფორმატში წარიმართა. გადაცემაში გავიდა აწყურის ქუჩაზე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული სიუჟეტი, რამაც ის უფრო დინამიური გახადა.

მთლიანობაში გადაცემის წამყვანი ნეიტრალური და მიუკერძოებელი იყო, ახერხებდა გადაცემის მსვლელობის მართვას, არ აძლევდა სტუმრებს თემიდან გადახვევის საშუალებას და მათ თანაბარ დროს უთმობდა.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებზე და თვითმმართველობის მოახლოებულ არჩევნებზე სამ გადაცემაში იყო საუბარი. **გადაცემებს „თვითმმართველობის არჩევნები 2014“** ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმატი აქვს და სხვადასხვა ჟურნალისტი - თეა გიგუაშვილი და ლადო ბიჭაშვილი უძღვება. გადაცემის მაყურებელს საშუალება ჰქონდა, სტუმრებისთვის სატელეფონო ზარის მეშვეობით შეკითხვები დაესვათ.

27 მაისის გადაცემაში, რომელიც ლადო ბიჭაშვილს მიჰყავდა სტუმრად მიწვეული იყო „მშრომელთა საბჭოს“ გორის მერობის კანდიდატი გიული მუკნიაშვილი. კანდიდატს ერთი საათის განმავლობაში შესაძლებლობა მიეცა საკუთარი საარჩევნო პროგრამის გარშემო ესაუბრა. გადაცემის მსვლელობისას ფიქსირდებოდა თემიდან გადახვევის შემთხვევებიც, თუმცა წამყვანი ცდილობდა კანდიდატის ზოგად დაპირებებზე ჩაკითხვოდა და ამომწურავი ინფორმაცია მიეღო. ჟურნალისტის მხრიდან იგრძნობოდა ოდნავი ირონიული განწყობა სტუმრის მიმართ. სტუმრის მხრიდან კი დაფიქსირდა არაეთიკური ლექსიკის გამოყენება ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ), რომელზეც წამყვანმა დროული რეაგირება არ მოახდინა.

29 მაისის გადაცემას თეა გიგუაშვილი უძღვებოდა. თოქ-შოუ სიუჟეტით დაიწყო, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრის, თამაზ მაცაშვილის, „ერთიანობის დარბაზის“ სახელით არჩევნებში მონაწილეობას ეხებოდა. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ თამაზ მაცაშვილი და „ერთიანობის დარბაზის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. წამყვანი ინტენსიურად იყო ჩართული გადაცემის მსვლელობაში, აქტიურ ოპონირებას უწევდა სტუმრებს და კრიტიკულ შეკითხვებს სვამდა. კითხვები აქტუალურ და საინტერესო საკითხებს მოიცავდა. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად, შეუზღუდავად ესაუბრათ.

30 მაისის გადაცემა „**დებატები**“, პროექტ „**არჩიე ქალაქის მერი**“ ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა. გადაცემას ჟურნალისტი ლადო ბიჭაშვილი უძღვებოდა. მას სტუმრად მიწვეული ჰყავდა გორის მერობის ოთხი კანდიდატი. კანდიდატების შერჩევა გამჭვირვალედ, 7 კანდიდატს შორის კენჭისყრის შედეგად, მოხდა. გადაცემაში მონაწილეობდნენ: ზურაბ ჯირკველიშვილი (კოალიცია „ქართული ოცნება“), მამუკა ნოზამე (ბლოკი „ბურჯანამე-ერთიანი ოპოზიცია“), არჩილ საბიაშვილი (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ვასილ ბუთხუზი (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“). გადაცემას მკვეთრად განსაზღვრული ფორმატი ჰქონდა, სტუმრებს თანაბარი დრო მიეცათ საკუთარი საარჩევნო პროგრამების, ხედვებისა და სამომავლო გეგმების წარსადგენად. მათთვის მიცემული დროის კონტროლი წამზომის საშუალებით ხორციელდებოდა. ჟურნალისტი მოდერატორის როლში გვევლინებოდა და კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა.

გადაცემაში სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ტელეკომპანია „თრიალეთის“ გადაცემების მთავარი ტექნიკური პრობლემა ტიტრების არარსებობაა, რაც ართულებს სტუმრის თუ წამყვანის ვინაობის გარკვევას.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში მხოლოდ ერთი თოქ-შოუ „**თქვენთან ერთად**“ გავიდა. მისი წამყვანი თამთა დოლიძე იყო. 30 მაისს ეთერში გასული გადაცემის სტუმრები იყვნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. წამყვანმა აღნიშნა, რომ მას მიწვეული ჰყავდა „საქართველოს პატრიოთა ალიანსისა“ და „ბურჯანამე-ერთიანი ოპოზიციის“ გამგებლობის კანდიდატებიც, თუმცა, ისინი გადაცემას არ დაესწრნენ.

დაახლოებით ერთსაათიან გადაცემაში გამგებლობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამებზე, მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის ხედვებზე ისაუბრეს. გადაცემის განმავლობაში სტუმრებმა, სიუჟეტის სახით გასული, მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემები მოისმინეს და მათ კითხვებს უპასუხეს.

გადაცემას პოლიტიკური დებატების სახე ჰქონდა. წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა; ცდილობდა სტუმრებისთვის თანაბარი დრო დაეთმო. ის რესპონდენტებს კენჭისყრით განსაზღვრული რიგითობით უსვამდა კითხვებს. თუმცა, წამყვანს გადაცემის პროცესის მართვა უჭირდა, ვერ ახერხებდა სტუმრების სიტყვიერი დაპირისპირების შეჩერებას. ისინი გადაცემის თემას რამდენჯერმე აცდნენ და ერთმანეთის ბრალდებებზე გადავიდნენ, რისი შეჩერებაც წამყვანმა ვერ შეძლო.

გადაცემა პირდაპირ ეთერში გადიოდა, მაყურებელს შეეძლო დარეკვა და სტუმრებისთვის კითხვის დასმა.

"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში თოქ-შოუ არ გასულა.

"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში ყოველ პარასკევს თოქ-შოუ „ძალა უძალოთ“ გადის. გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი ლევან ალექსიშვილია.

30 მაისს თოქ-შოუს თემა გამგებლობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები იყო. სტუდიაში მიწვეულები იყვნენ: ლაგოდეხის და სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები კოალიცია „ქართული ოცნებიდან“, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, ბლოკ „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციიდან“.

ჟურნალისტმა გადაცემის დასაწყისში სტუმრებს საშუალება მისცა მაყურებლისთვის საკუთარი ბიოგრაფიები გაეცნოთ, რის შემდეგაც მათი საარჩევნო პროგრამებით დაინტერესდა. წამყვანი ინტერესდებოდა გადაცემაში წამოჭრილი თემების დეტალებით და ცდილობდა სხვადასხვა საკითხზე სტუმრებს ამომწურავად ესაუბრათ. იგი ბოლომდე ეძიებოდა სტუმრებს, თუმცა, ამავდროულად, საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებდა. იცავდა ბალანსს და ცდილობდა ნეიტრალური ყოფილიყო.

მაყურებელს საშუალება ჰქონდა, გამგებლობის კანდიდატებისთვის კითხვები დაესვათ.

"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო კვირაში მონიტორინგის ქვეშ ტელეკომპანიის ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ მოხვდა: „დისკურსი“ და „დებატები“.

„დისკურსს“ არხის სადამოს ეთერი ოთხშაბათობით ეთმობა. მისი წამყვანი ჟურნალისტი ნანა თოშხუაა. გადაცემებში სახვადასხვა აქტუალურ თემაზე საუბრობენ. 28 მაისის გადაცემაში მიწვეულმა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ისაუბრა. გადაცემის წამყვანი სტუმრის მიმართ კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და საკუთარ პოზიციას თითქმის არ აფიქსირებდა. გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში, მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. სტუმარს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მაქსიმალურად ეძლეოდა.

გადაცემა „დებატები“ ჟურნალისტ თიკო კიკაბიძეს მიჰყავს. საანგარიშო პერიოდში სამი გადაცემა მომზადდა. მათი თემა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების საარჩევნო პროგრამები იყო. გადაცემების სტუმრები არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები იყვნენ. ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სახელით ქუთაისის მერობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არიან.

გადაცემებში მიწვეულები იყვნენ: ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, კოალიცია „ქართული ოცნების“, ბლოკ „თვითმმართველობა ხალხს“ და „სახალხო პარტიის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები, აგრეთვე ქუთაისის მერობის კანდიდატები: ირაკლი კიკვაძე („ლეიბორისტული პარტია“), ალექსანდრე კეზევაძე („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) და თეიმურაზ შაშიაშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“).

30 მაისის გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მერობის კანდიდატებმა: შოთა მურღულიამ (კოალიცია „ქართული ოცნება“), გიორგი თევდორაძემ (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და მაგდა გაბრიჩიძემ (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“) დებატები წინასწარ განსაზღვრული ფორმატით მიმდინარეობდა. გადაცემის სტუმრებს საარჩევნო პროგრამებზე სასაუბროდ მკვეთრად განსაზღვრული დრო ეძლეოდათ. ჟურნალისტი მოდერატორის როლში გვევლინებოდა და კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა.

"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ „თემა“** გავიდა, რომელიც ჟურნალისტ თეა აბსარიძეს მიჰყავდა. თოქ-შოუ ეთერში ყოველ პარასკევს გადის და საათზე მეტ ხანს გრძელდება.

30 მაისის გადაცემის თემა საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები იყო. გადაცემა ორი ბლოკისგან შედგებოდა.

ჟურნალისტს გადაცემაში მიწვეული ჰყავდა ფოთის მე-2 და მე-3 მაჟორიტარული ოლქის კანდიდატები ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციიდან“, ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციიდან“, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, კოალიცია „ქართული ოცნებიდან“, „საქართველოს გზიდან“ და ასევე საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატები.

წამყვანი გადაცემის მსვლელობაში აქტიურად ჩართული არ იყო, იგი მოდერატორის როლს ასრულებდა და სტუმრებისთვის მშრალი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა. ცდილობდა სტუმრებისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა. გადაცემის მსვლელობისას ერთმანეთს კითხვებს სტუმრები, მაჟორიტარობის კანდიდატებიც უსვამდნენ.

„არგო“ (ქ. ზესტაფონი) - საანგარიშო კვირაში არხზე თოქ-შოუ არ გასულა.

„მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში მონიტორინგის სუბიექტების მონაწილეობით მხოლოდ ერთი თოქ-შოუ გავიდა. „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადებულ **ტელედებატებს „არჩევნები 2014“** არხის ეთერი 29 მაისს დაეთმო. გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი ნანა სისვაძე იყო. გადაცემის სტუმრები საარჩევნო სუბიექტების ადგილობრივი ლიდერები, გამგებლობისა და მაჟორიტარობის კანდიდატები იყვნენ „არასაპარლამენტო ოპოზიციიდან“, „მომავალი საქართველოდან“, „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციიდან“, კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. წამყვანმა აღნიშნა, რომ მოწვეული ჰყავდა „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“ წარმომადგენელიც, რომელმაც გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

საათნახევრიანი გადაცემის ძირითადი თემა კანდიდატების საარჩევნო პროგრამები იყო. ტელედებატებში დრო ყველას თანაბრად ეთმობოდა, მათ წამყვანი კითხვებს წინასწარ ჩატარებული კენჭისყრით განსაზღვრული რიგითობით უსვამდა. წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა და კითხვებს უსვამდა სტუმრებს. ის მიუკერძოებელი და ნეიტრალური იყო.

გადაცემის მესამე ნაწილში ეთერში გავიდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის კითხვები, რომლებსაც ისინი გადაცემის სტუმრებს უსვამდნენ, რამაც გადაცემა უფრო დინამიური გახადა. სტუმრებისთვის კითხვის დასმა სატელეფონო ზარის მეშვეობით მაყურებელსაც შეეძლო. მოწვეულ სტუმრებს საუბრის დროს არ ჰქონდათ ტიტრები.

„ბორჯომი“ (ქ. ბორჯომი) - საანგარიშო კვირაში არხს თოქ-შოუ არ მოუმზადებია.

„დია“ (ქ. ხაშური) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „დიას“ ეთერში **„ნინო ჩიბჩიურის თოქ-შოუ“** 31 მაისს გავიდა. გადაცემის სტუმრები იყვნენ გორის მერობის კანდიდატები: არჩილ საბიაშვილი (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და ზურაბ ჯირკველიშვილი (კოალიცია „ქართული ოცნება“).

ჟურნალისტი კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდა, თუმცა ცდილობდა გადაცემის სტუმრებისგან დეტალური პასუხი მიეღო თუ როგორ აპირებენ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას. წამყვანი მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა და თუ სტუმრები ერთმანეთს საუბარს არ აცლიდნენ, ცდილობდა ოპონენტს მოსაუბრისთვის ხელი არ შეეშალა. გადაცემის სტუმრებს აზრის გამოთქმის საშუალება თანაბრად ჰქონდათ.

რუბრიკაში „ამომრჩევლის ხმა“, რომელიც წინასწარ იყო მომზადებული, ეთერში მოქალაქეების შეკითხვები გავიდა, რომლებზეც კანდიდატებმა უპასუხეს.

ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“

„საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელეკომპანია“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ , „გურია“, „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „25-ე არხი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ , „მეცხრე არხი“, „მარნეული ტვ“, „არგო“, „ბორჯომი“, „დია“.

საანგარიშო პერიოდში ტელეჟურნალ „მრავალკუთხედის“ ერთი გამოშვება მოხვდა. დაახლოებით 35 წუთიანი გადაცემის წამყვანი ნიკოლოზ რუბაშვილია.

გადაცემის წამყვანი, ძირითადად, სიუჟეტებს წარადგენს, არის ნეიტრალური და მიუკერძოებელი.

„მრავალკუთხედის“ სიუჟეტების თემები მრავალფეროვანი იყო. გაშუქდა როგორც საარჩევნო თემაზე მომზადებული მასალები, რომელიც მარნეულსა და ხაშურში დარეგისტრირებულ კანდიდატებს ეხებოდათ, ასევე სხვა თემებზე მომზადებული სიუჟეტებიც. სიუჟეტებში მოვლენები დაბალანსებულად, სიღრმისეულად და მიუკერძოებელად იყო გადმოცემული.

ამ გადაცემიდან აღსანიშნავია სიუჟეტი, რომელიც ჭობისხევში მოსახლეობასა და სატყეო სამსახურს შორის სახერხი საამქროს დემონტაჟის გამო მომხდარ დაპირისპირებაზე

მომზადდა: ერთი კონკრეტული ამბის ჩვენებით გადაცემის წამყვანმა მთლიანი პრობლემა წარმოაჩინა და მისი ანალიზი მოახდინა. მან ეროვნული სატყეო სამსახურის პოლიტიკის ჩვენება სცადა. თემის ვრცელ ანალიზს დაახლოებით 16 წუთი დაეთმო.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

2 - 8 ივნისის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მესამე ეტაპი.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.
Sustainable Democracy.

ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.